საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი

პროფესორი ლევან ბარამიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ირინე ზარნაძე

ასოცირებული პროფესორი ეკა მირველაშვილი

ასოცირებული პროფესორი ზურაბ სიხარულიძე

ასოცირებული პროფესორი დევი ტაბიძე

ასისტენტ-პროფესორი ლილი ლომთაძე

ასისტენტ-პროფესორი დალი კიტოვანი



ასისტენტ-პროფესორი მარინა ყაჯრიშვილი



ასისტენტ-პროფესორი ლია გუმბარიძე

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჯაფარიძე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი (წარსულში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის კათედრა; ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი, შემდეგ მიმართულება) დაარსდა 1926 წელს და ეწოდა „სოციალური ჰიგიენის კათედრა“. პირველი კათედრის გამგე იყო ექიმი და საზოგადო მოღვაწე ივანე ელიაშვილი. დეპარტამენტმა როგორც ჩვენს დროში ასევე წარსულში მრავალჯერ შეიცვალა სახელწოდება, რომელიც უკავშირდებოდა იმ ამოცანების გადაჭრას, რომელიც იდგა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისა და განათლების სისტემის წინაშე.

1941 წელს კათედრას ეწოდა „ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის“ კათედრა ,მას ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა დროს პროფესორი ალექსანდრე ხმალაძე, პროფესორი ანთეოზ ასათიანი, რომელმაც 1958 წელს პირველად ქართულ ენაზე შექმნა და გამოსცა სახელმძღვანელო.

1966 წელს კათედრას ეწოდა „სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის“ კათედრა”, ხელმძღვანელები პროფესორები ანთეოზ ასათიანი, პროფესორი ვალერიან ცაბაძე, დოცენტი იაკობ ბაბუციძე. პროფესორ ვალერიან ცაბაძის მიერ პირველად იქნა

შესწავლილი და შეფასებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მასვე ეკუთვნის მრავალი სასწავლო მეთოდური მასალა და პრაქტიკული სახელმძღვანელო.

1992 წელს - კათედრას ეწოდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“. კათედრა. 1989-2009 წ.წ. კათედრას და შემდეგ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი ოთარ გერზმავა, 1990 წელს იქმნება დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე სოციალურ ჰიგიენასა და ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ხოლო 1998, 2001, 2003, 2008, 2012, 2013, 2016, 2017 წლებში შექმნილია და გამოცემული სახელმძღვანელოები საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და მენეჯმენტში პროფესორ ო.გერზმავას ავტორობით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი

2009 წ-დან - დღემდე – ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებას, შემდეგ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ლევან ბარამიძე.

დეპარტამენტში შექმნილია ექსკლუზიური პროგრამები და მოდულები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და პარტნიორების დახმარებით. მოპოვებულია 8 გრანტი სასწავლო და სამეცნიერო სფეროში. განხორციელებულია და დღეისათვის ხორციელდება პარტნიორული პროგრამები - ამერიკის, კანადის, ინგლისის, ჩინეთის, ტაივანის, პოლონეთის, ისრაელის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მალტის, ლიტვის უნივერსიტეტებთან. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურ სასწავლო საქმიანობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობას, ყოველწლიურად ქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნის ფორუმებსა და სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციები.